

## ARCHIL JORJADZE – ASPECTS OF MIKHEIL VORONTSOV'S POLITICAL-LEGISLATIVE ACTIVITIES' CONCEPTUAL ASPECTS

არჩილ ჯორჯაძე - მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობის  
პოლიტიკურ-სამართლებრივ ჭრილში ხედვის ასპექტები

Givi Lobzhanidze

Georgian Technical University, Professor,

Tbilisi, Georgia,

ORCID: 0009-0005-4378-345X

(+995) 599558259; givi.lobzhanidze@gtu.edu.ge

### Abstract

In the given work, Archil Jorjadze presents both the Georgian political figures' estimations and conceptions' reviews and his personal thinking towards them and his personal political credos dedicated to the Georgian nation's future national destiny and national state's legislative identity issues.

Archil Jorjadze is an author of the conclusion of M. Vorontsov's real portrait presentation and his views are similar to the contemporary modern researcher's conceptions in connection to m. Vorontsov public activities.

The author of the above work interestingly discusses and presents those real facts where we come across Archil Jorjadze's merit and honor including those facts that obviously show and estimate the real personality of M. Vorontsov as a political and social figure of that time.

Along with this, we should also take into account that Archil Jorjadze is not M. Vorontsov's blind apologist. He perfectly understands that the important cultural changes that occurred during his work were not directly M. Vorontsov's mercy, but forced loyalty and goodwill towards the measures that the Georgian people themselves and its advanced representatives tried to implement.

**Keywords:** Archil Jorjadze, Mikheil Vorontsov, political course, Georgian people, modern researchers, cultural changes.

გივი ლობჯანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი,

საქართველო, თბილისი

ORCID: 0009-0005-4378-345X

599558259; givi.lobzhanidze@gtu.edu.ge

### აბსტრაქტი

არჩილ ჯორჯაძე თავის ნაშრომებში წარმოგვიდგენს როგორც წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკური შეხედულებების შეფასებას, ასევე, თავის დამოკიდებულებას მათთან და საკუთარ პოლიტიკურ კრედოს, რომლის ამოსავალია მისივე მოსაზრებები ქართველი ერის მომავალი ეროვნული ბედისა და ეროვნული სახელმწიფოს სამართლებრივი რაობის საკითხებზე.

მან მოგვცა მ. ვორონცოვის რეალური პორტრეტი. წარმოჩენაში [.] დასკვნა არჩ. ჯორჯაძეს ეკუთვნის. მისი შეხედულებანი, მ. ვორონცოვის მოღვაწეობის შესახებ, ძირითადად, გაზიარებულია თანამედროვე თანამედროვე მკვლევართა მიერ.

არჩილ ჯორჯაძის ეს სიტყვები მრავალმხრივია საყურადღებო: პირველ ყოვლისა, სავსებით აშკარაა, რომ იგი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ყურადღებითა და დაინტერესებით, რომელსაც მ. ვორონცოვი ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი იჩენდა; მ. ვორონცოვის პოლიტიკურ კურსში იგი ხედავს იმ სურვილების განხორციელებას, რომელიც ჰქონდა ქართველ ხალხს, როდესაც ცდილობდა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას.

ამასთან ერთად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არჩილ ჯორჯაძე სრულიადაც არაა მ. ვორონცოვის ბრმა აპოლოგეტი. მას მშვენივრად ესმის, რომ ის მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები, რომელიც მისი მოღვაწეობის დროს მოხდა, იყო არა უშუალოდ მ. ვორონცოვის წყალობა, არამედ იძულებითი ლოიალობა და კეთილგანწყობა იმ ღონისძიებებისადმი, რომელთა გატარებასა და ხორცშესხმას თვით ქართველი ხალხი და მისი მოწინავე წარმომადგენლები ცდილობდნენ.

**საკვანძო სიტყვები:** არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ ვორონცოვი, პოლიტიკური კურსი, ქართველი ხალხი, თანამედროვე მკვლევრები, კულტურული ძვრები.

### შესავალი

ამ თემაზე სტატიის მომზადება და გამოქვეყნება მიკარნახა 2023 წლის 12 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარებულ სამეცნიერო სხდომაზე (რომელიც მიემდგვნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 186 წლისთავს, მომხ. აკ. ომარ გოგიაშვილი) დასმულმა შეკითხვებმა, კერძოდ, პროფესორ ელდარ ნადირაძის კითხვამ, „როგორ უნდა შეფასდეს მ. ვორონცოვის მოღვაწეობა საქართველოში?“. აკადემიის პრეზიდენტმა რ. მეტრეველმა, აკადემიკოსებმა ო. გოგიაშვილმა, ე. ჯაველიძემ ვორონცოვის მოღვაწეობა დადებითად შეაფასეს, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ქართულთან ერთად, მ. ვორონცოვი რუსულ საქმეს აკეთებდა. ყოველი მისი ნაბიჯი გათვლილი იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკის განსახორციელებლად.

ამ საკითხზე მსჯელობამ გამახსენა მმართველობა კილიკიაში ძველი რომაელი საზოგადო მოღვაწის, მარკუს ტულიუს ციცერონისა (ძვ.წ. 106-43 წწ.), რომელიც ადგილობრივი საქმეების კეთებითა და ხალხთან თბილი ურთიერთობით ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა რომს, საკუთარ სახელმწიფოს. ეს არის გონიერი მმართველის გონივრული მოღვაწეობა.

### მეთოდი

ნაშრომის წერის დროს გამოვიყენე კვლევის შემდეგი მეთოდები: ისტორიზმის, შედარებით-სამართლებრივი, ექსტრაპოლაციისა.

## შედეგები

ნაშრომში გაანალიზებულია პერიოდი, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია მ. ვორონცოვის და მაშინდელი საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაზე, რამაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა მ. ვორონცოვის საქმიანობის დადებითი მხარეები. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია არჩ. ჯორჯაძის პოლიტიკურ-სამართლებრივი კრედო, რომლის ამოსავალი მისი შეხედულებები ქართველი ერის მომავალი ბედისა და ეროვნული სახელმწიფოს რაობის საკითხებზე.

## მსჯელობა და დასკვნები

არჩ. ჯორჯაძემ თავის დროზე არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებს, მათ შორის, საინტერესო შეფასება დაგვიტოვა მ. ვორონცოვის საქმიანობის შესახებაც.

არჩ. ჯორჯაძის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები ყალიბდებოდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ანუ იმ პერიოდში, რომელიც რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოირჩეოდა თავისი სიმძაფრითა და ფართო მნიშვნელობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენებით. 1905 წლის წინა წლების რევოლუციურ სიტუაციას და თვით რევოლუციას მოჰყვა მკაცრი რეაქცია. ასეთმა განწყობილებამ და შედეგებმა კი გარკვეულად იმოქმედეს ყველა პარტიისა და მოაზროვნის სოციალურ-პოლიტიკურ პროგრამაზე. მეტ-ნაკლებად თითქმის ყველამ გადასინჯა თავისი პოლიტიკური მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

ამგვარ ისტორიულ ვითარებაში მოხვედრილი ახალგაზრდა მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძეც, ცხადია, მთელი რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისიც მეტად გატაცებული და სათანადო კონცეფციით შეიარაღებული შეუდგა საკუთარი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებების შემუშავებასა და გადმოცემას, რათა დროულად შეეტანა თავისი წვლილი სამშობლო ქვეყნის უკეთესი მერმისის გარკვევის საქმეში, მისი მომავალი ეროვნული სახის გამოკვეთისა და შენარჩუნების მიზნით. მაგრამ ამგვარი მიზნის ხორცშესხმა, ბუნებრივია, იოლი არ იყო არა მარტო თვით პრობლემის სირთულის გამო, არამედ იმ მწვავე პოლიტიკური უთანხმოების წყალობითაც, რომელიც მაშინ ჩვენს საზოგადოებრივ აზრში არსებობდა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც კი სადავოა, თუ რა და რა მიმართულების პარტიებთან და ჯგუფებთან გვექონდა მაშინ საქმე; რამდენი განსხვავებული ხასიათის პოლიტიკური კრედო და კონცეფცია უპირისპირდებოდა ერთმანეთს. მაგრამ ერთი კი აშკარაა, ბრძოლის მთელ სიმძიმეს ინაწილებდნენ წინა თაობების წარმომადგენელი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწენი, მესამე დასელთა ე. წ. უმრავლესობა და უმცირესობა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ მარქსისტებს შორისაც არ იყო ერთსულოვნება, ბევრი მათგანი ერთი მხრივ, ღალატობდა, წინამორბედ მოღვაწეთა დამსახურების ისტორიული თვალსაზრისის შეფასების საქმეს (იგულისხმება ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეების მიმართ) და აშკარა

უსამართლო და სუბიექტურ პოზიციებზე იდგნენ. მეორე მხრივ, არასწორად იხილავდნენ ეროვნულ საკითხებს. ასეთმა ვითარებამ კი მეტად გაამწვავა საერთო სიტუაცია და გააძნელა სწორი ორიენტაციის შექმნა ქართველ საზოგადოებაში.

სწორედ ამ რთულ პოლიტიკურ ბატალიებში ჩაება არჩილ ჯორჯაძე და ბეჯითად ცდილობდა გარკვეულობა შეეტანა ყველასათვის საინტერესო საკითხების გაშუქებაში. თუ რამდენად წარმატებით შეძლო მან ამ ამოცანის გადაწყვეტა, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მაგრამ ის კი უდავო ისტორიული ფაქტია, რომ თავისი სტატიებით მან მალე მიიპყრო როგორც ფართო მკითხველის, ასევე თანამოაზრე და აშკარად საწინააღმდეგო შეხედულებათა ავტორების ყურადღებაც. მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი მრწამსისათვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო ყოველი პუბლიცისტისა და პარტიული მოღვაწისათვის.

მთავარი ფაქტორი, რომლის წყალობითაც იგი იმთავითვე იქცა საინტერესო და ანგარიშგასაწევ პუბლიცისტად, ეს იყო წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა, კერძოდ, გამოჩენილ სამოციანელთა დამსახურების ღირსეულად წარმოჩენა და მისთვის ობიექტური შეფასების მიცემის ცდა. ამ გარემოებამ კი მას მალე შესძინა დინჯი და ეროვნული მოღვაწის სახელი, მით უმეტეს, რომ საზოგადოებრიობის გარკვეული ნაწილი ამ დროს მეტად უკმაყოფილო იყო ნ. ჟორდანიას აშკარა ტენდენციური დამოკიდებულებით ილია ჭავჭავაძისა და ცნობილი ქართველი მოღვაწეებისადმი.

არჩილ ჯორჯაძე თავისი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებების გადმოცემას შეუდგა არა ერთბაშად და ერთი რომელიმე სტატიის საშუალებით, არამედ მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ ქართველ მოაზროვნეთა პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების შესწავლისა და შეფასების ფონზე. ამით იგი, ერთსა და იმავე დროს, ორ საქმეს აკეთებდა: თავისას მიუზღავდა ყველა წინამორბედს, მკითხველს დამაჯერებლად აჩვენებდა თითოეული მათგანის ამაგს, ამასთან ერთად, უფრო გასაგებს ხდიდა ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი აზრის ევოლუციას გასულ საუკუნეში და აშკარად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას. ამ მეთოდს იგი მიმართავს ბევრ სტატიასა და გამოკვლევაში, მაგრამ ძირითად მიზანს მიაღწია ისეთი ნაშრომების წყალობით, როგორცაა: „თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში“, „დიმიტრი ყიფიანი“, „პუბლიცისტი - ილია ჭავჭავაძე“, „ნ. ნიკოლაძე“, „მეოთხმოციანნი და მეოთხმოდგაათიანნი“, „რევოლუციის შემდეგ“, „სამშობლო და მამული-შვილობა“, „ადათი და კანონი“ და სხვ.

დასახელებულ ნაშრომებში არჩილ ჯორჯაძე წარმოგვიდგენს როგორც წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკური შეხედულებების შეფასებას, ასევე თავის დამოკიდებულებას მათთან და საკუთარ პოლიტიკურ კრედოს, რომლის ამოსავალია მისივე შეხედულებები ქართველი ერის მომავალი ეროვნული ბედისა და ეროვნული სახელმწიფოს სამართლებრივი რაობის საკითხებზე.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ დიმიტრი ყიფიანები არ შეუქმნია. იყვნენ როგორც სრულიად საწი-

ნაადმდეგო ბუნების ადამიანები, ასევე ისეთი მოღვაწეები, რომლებსაც სხვაგვარად ესახებოდათ ქვეყნის მომავალისადმი სამსახურის ხასიათი და ამ უკანასკნელთა გამოჩენა, პირველ ყოვლისა, განაპირობა მართვა-გამგეობის იმ ახალმა მიმართულებამ, რომელსაც 40-იანი წლებიდან დასაბამი მისცა მეფისნაცვლის თანამდებობაზე მიხეილ ვორონცოვის დანიშვნამ.

მ. ვორონცოვის პოლიტიკასა და მისი მართვა-გამგეობის დროინდელ ქართულ სინამდვილეზე არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ მსჯელობს თავის ნაშრომებში - „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“, რომლებიც საკმაო მასალას იძლევა ავტორის პოლიტიკური შეხედულებების გასათვალისწინებლად. ამიტომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელია.

„ცისკარი“ - პირველი ოფიციალური ქართული სალიტერატურო ჟურნალია, რომელიც გამოდიოდა 1852-1853 და 1857-1875 წლებში. მისი პირველი რედაქტორი (1852-1853 წწ.) იყო ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი ერისთავი. შემდეგ ჟურნალის გამოცემის უფლება გადაეცა ივანე კერესელიძეს, რომლის რედაქტორობითაც „ცისკარი“ გამოდიოდა 1857-1875 წლებში.

ჟურნალმა „ცისკარმა“ უდიდესი როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. მის ფურცლებზე გამოვიდნენ პირველად ცნობილი „თერგდალეულები“, რომლებმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინეს ქართულ მწერლობაში. მართალია, „ცისკარს“ არ ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული მიმართულება, მაგრამ თავისი ყურადღებით ყოველივე ქართულისადმი დიდი სამსახური გაუწია ეროვნულ კულტურას.

„საქართველოს მოამბე“ - სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც დაარსა ი. ჭავჭავაძემ და მისივე რედაქტორობით გამოდიოდა 1863 წელს. სულ გამოვიდა 12 ნომერი. ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურაში ესთეტიკის პრინციპების და კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების საქმეში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვორონცოვის მოღვაწეობას დადებითად აფასებს არჩ. ჯორჯაძე: „ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი“... (მ. ჯორჯაძე, წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 9).

არჩილ ჯორჯაძის ეს სიტყვები მრავალმხრივაა საყურადღებო: პირველ ყოვლისა, სავსებით აშკარაა, რომ იგი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ყურადღებითა და დაინტერესებით, რომელსაც მ. ვორონცოვი ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი იჩენდა; მ. ვორონცოვის პოლიტიკურ კურსში იგი ხედავს იმ სურვილების განხორციელებას, რომელიც ჰქონდა ქართველ ხალხს, როდესაც ცდილობდა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას.

ამასთან ერთად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არჩილ ჯორჯაძე სრულიადაც არაა მ. ვორონცოვის ბრმა აპოლოგეტი. მას მშვენივრად ესმის, რომ ის მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები, რომელიც მისი მოღვაწეობის დროს მოხდა, იყო არა უშუალოდ მ. ვორონცოვის წყალობა, არამედ იძულებითი ლოიალობა და კეთილგანწყობა იმ ღონისძიებებისადმი, რო-

მელთა გატარებასა და ხორცშესხმას თვით ქართველი ხალხი და მისი მოწინავე წარმომადგენლები ცდილობდნენ.

ქართული თეატრისა და სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებას ორმოცდაათიანი წლების დამდეგს არჩილ ჯორჯაძე სრულიად მართებულად მიიჩნევდა დიდ ეროვნულ მოვლენად და ეპოქალური მნიშვნელობის კულტურულ ფაქტად, რისთვისაც ძალიან უმადლის მ. ვორონცოვის მიერ შექმნილ სიტუაციას, მაგრამ იგი უფრო ღრმად იხედება მოვლენებში.

„ექვსის გარეშეა, - წერს ის, - თ. ვორონცოვი ვერ შეჰქმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისთვის საჭირო ელემენტები. თეატრი ცნობილი იყო საქართველოში მეთვრამეტე საუკუნეშიც... მართალია, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ყოველივე ეს მივიწყებული იყო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ეს გარემოება, რომ სანამ თავად ვორონცოვს დაებადებოდა სურვილი ქართული თეატრის დაარსებისა, გიორგი ერისთავს, რომელიც ახლად დაბრუნებული იყო პოლონეთიდან, განმარტოვებით სცხოვრობდა თავის სოფელ ხიდისთავში, უკვე ჰქონდა დაწერილი „გაყრა“. ამ პიესას ტფილისში უკვე იცნობდნენ. ხელთნაწერი ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა. საჭიროა მხოლოდ თაოსნობა, გარჯა, მეცადინეობა და საფუძველი თეატრისა უკვე ჩაყრილი იყო. ვორონცოვმა სწორედ ეს საჭირო თაოსნობა გამოიჩინა. გაჩნდა თეატრი. იგივე ითქმის ჟურნალის შესახებაც“.

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე საკმაოდ ფხიზლად აფასებს იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ შესწავლილი და აზრთა ამკარა სხვადასხვაობა სუფევდა. კერძოდ, ის მართებულად ახასიათებს 1840-50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათსა და მის განმაპირობებელ ობიექტურ მიზეზებს. ნიშანდობლივია, რომ მან, ერთ-ერთმა პირველმა, საგანგებო ყურადღების საგნად გახადა ეს ისტორიული პერიოდი და ბევრი რამ შემატა მის შესწავლას, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე კულტურულ-ლიტერატურული თავისებურების გარკვევის პოზიციიდან. „გამოჩნდა ახალი ეტაპი ქართული საზოგადოებრივობის განვითარებისა, - დასძენს იგი, - პრესა, წიგნების ბეჭდვა, თეატრი - ყოველივე ეს ამ განვითარების მაჩვენებელი იყო. საყურადღებო ის არის, რომ ეს პირველი ეტაპი ქართული კულტურის აღორძინებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო მთავრობის და საზოგადოების სოლიდარული თანამშრომლობის ეტაპი. აქ პირველად შეხვდა ერთმანეთს ორი ნაკადული, ერთის მხრივ, თავადაზნაურულ წრეებში ისტორიულად აღზრდილი გრძნობა ერთგულებისა, მეორეს მხრივ, კეთილ-გონიერი პოლიტიკა ვალდებულების აღსრულებისა მფარველობის ქვეშ მყოფი ერისადმი. ვორონცოვის დროში ეს ორი ნაკადული თითქოს ერთ კალაპოტში მიედინებოდა. თუმცა, შემდეგ პერიოდში, აღმოჩნდნენ მსურველნი ამ ნაკადულების ერთმანეთისაგან განშორებისა და მიაღწიეს კიდევ, ამ თავიანთ საწადელს, მაგრამ ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციის წრიდან მომდინარე ნაკადულს მაინც იქითკენ ჰქონდა პირი მიმართული, სადაც ეგულებოდა ის ნანატრი, ერთხელ დასახული, ხოლო სადღაც მიმალული კეთილგონიერება მმართველი ძალისა“.

ამგვარად, არჩილ ჯორჯაძე 1840-50-იანი წლებისათვის, თითქმის ხორცმესხმულად მიიჩნევს იმ მიზნებსა და სურვილებს, რომლებიც ერთი მხრივ, ქართველ ხალხს გააჩნდა, მეორე მხრივ, რომელიც მეფის რუსეთს უნდა ჰქონოდა, როცა ერთმორწმუნე ქვეყანას იერთებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი პრეტენზიები რუსეთის ახალი მართვა-გამგეობის მიმართ საკმაოდ მოკრძალებული იყო – ხელი შეეწყო ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული აღორძინებისათვის.

მ. ვორონცოვმა სწორედ ეს მოიმოქმედა. მან ალღო აუღო ქართველი ხალხის, მისი მოწინავე წარმომადგენლების ეროვნულ-კულტურულ შესაძლებლობებსა და სურვილებს. ამასთან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მათ გამოვლენასა და პრაქტიკულ განხორციელებას, ვინაიდან ყოველივე ამას რუსეთის ინტერესებისათვის მოჰქონდა არა ზიანი, არამედ – სარგებლობა აძლიერებდა ქართველ ხალხში რუსეთისადმი პატივისცემისა და ერთგულების გრძნობას.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, მ. ვორონცოვის მოსვლამდე უკვე ვითარდებოდა ქართველი ხალხის ის სულიერი განწყობილება, რომელიც ვორონცოვმა მოსვლისთანავე ოსტატურად გამოიყენა თავისი პოლიტიკური გეგმის განხორციელებისათვის. მართალია, არჩილ ჯორჯაძეს საგანგებოდ არ აღუნიშნავს, მაგრამ სავსებით მისახვედრად მიუთითებს იმაზე, რომ მ. ვორონცოვის პოლიტიკა მეფის რუსეთის ადმინისტრაციული აპარატის მიერ შემუშავებული არ ყოფილა. იგი თავის წარმომადგენლებისაგან კავკასიაში მშვიდობის დამყარებას მოითხოვდა, მაგრამ სათანადო გზებისა და მეთოდების გამონახვას მათვე ანდობდა. ამის გამო ბევრი რამ იყო დამოკიდებული პიროვნების ხასიათზე, ადმინისტრაციული მართვის ნიჭსა და გამოცდილებაზე. ამიტომაც ვერც ვორონცოვამდე და ვერც მას შემდეგ ვერ დამყარდა ურთიერთგაგება რუსულ მართვა-გამგეობასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

რა ნაყოფი გამოიღო, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული მიმართულებით მ. ვორონცოვის მართვა-გამგეობის კურსმა? კითხულობს არჩ. ჯორჯაძე. და თვითონვე პასუხობს.

პირველ ყოვლისა, მ. ვორონცოვმა მიაღწია იმას, რისთვისაც იღვწოდა მეფის რუსეთი: დაამყარა მშვიდობა და ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გააღვივა ერთგულების გრძნობა რუსეთისადმი. ამასთან ერთად, შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ მკვიდრთ, რომ გამოეჩინათ თავიანთი ნიჭი ეროვნული კულტურის განვითარების მიზნით, რაც სრულიად არ უქმნიდა საფრთხეს რუსულ მართვა-გამგეობას. პირიქით, ყველგან და ყველაფერში აშკარად მჟღავნდებოდა ქართველ ხალხის „მადლიერების“ გრძნობა.

მაინც რა სიკეთე მოუტანა საქართველოს და ქართველ ხალხს მ. ვორონცოვის პოლიტიკურმა კურსმა, რის გამოც არჩილ ჯორჯაძე კმაყოფილებას გამოთქვამს?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ ყოვლისა, ეს იყო ის მხარდაჭერა, რომელიც მან ქართული თეატრისა და ქართული სალიტერატურო ჟურნალი „ცისკრის“ დასაარსებლად გამოიჩინა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე არსებულ ყველა გაზეთს არ ჰქონია ეროვნული ფუნქცია; მაგალითად „პირველი ქართული გაზეთი“, რომელსაც მოგვიანებით „ქართული გაზეთი“ დაერქვა, უფრო მეტად საინფორმაციო ხასიათის იყო და ის მეფისნაცვლის ზედამხედველობით გამოიცემოდა და პროპაგანდისტული მისია გააჩნდა, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ეროვნულ მიზნებთან. პირველი გაზეთი, რომელიც მეტ-ნაკლებად ეროვნული ხასიათისა იყო, „ტფილისის უწყებანი“ სახელდება, რომელიც პირველად 1828 წელს გამოვიდა და 4 წელს იარსება. ეს გაზეთი „ტფილისსკიე ვედომოსტის“ ქართულ ანალოგი იყო, სადაც იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები, იშვიათად, მაგრამ ეროვნულ საკითხებზე შექმნილი ტექსტებიც ხვდებოდა, რაც საკმარისი ნამდვილად არ იყო გაზეთის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი გახლდათ.

„ცისკარი“ გახდა პირველი ოფიციალური „ქართული სალიტერატურო ჟურნალი“, რომელიც გამოდიოდა 1852-1853 და 1857-1875 წლებში. მისი პირველი რედაქტორი (1852-1853 წწ.) იყო ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი ერისთავი, რომელმაც ჟურნალის გამოცემის უფლება შემდეგ გადასცა ივანე კერესელიძეს, რომლის რედაქტორობითაც „ცისკარი“ გამოდიოდა 1857-1875 წლებში.

ამრიგად ქართული თეატრი და ქართული ჟურნალი კი იყო ის აუცილებელი წინამძღვრები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდა ქართული ენის, ქართული მწერლობის და, საერთოდ, ქართული კულტურის ენის, ქართული მწერლობის განვითარება. ამასთან მათი საშუალებით იქმნებოდა პირობები ქართული საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, წმინდა ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე დასაფიქრებლად, ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და ეროვნული თავისუფლების საკითხების მოსაგვარებლად.

ერთი სიტყვით, გააჩნდა ის ტრიბუნები, საიდანაც ქართველ მოღვაწეებს შეეძლოთ თავიანთი განწყობა გაეზიარებინათ თანამემამულეთათვის და ქართულ შემოქმედებით აზრს ეჩვენებინათ თავისი შესაძლებლობანი. ქართულმა თეატრმა დიდი ბიძგი მისცა ქართული რეალისტური დრამატურგიის განვითარებასა. ამ უკანასკნელმა კი მაყურებელსა და მკითხველს აშკარად დაანახა იმდროინდელი ქართული სოციალური ყოფის მანკიერება, წოდებრივი ურთიერთობის გამწვავება, ბატონყმური ინსტიტუტის დრომოჭმულობა, სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციულ უწყებებში მექრთამეობისა და თვითნებობის დამკვიდრება და ყოველივე ეს მცირე მნიშვნელობის მოვლენები არ ყოფილა.

ქართულ თეატრს მხარში ამოუდგა ქართული ჟურნალი „ცისკარი“, რომელმაც გაცოცხლა ინტერესი ქართული მწერლობისადმი და წარმოაჩინა პუბლიცისტები, რომლებმაც მორიდებულად, მინიშნებით, მაგრამ გასაგებად დაიწყეს საუბარი და მსჯელობა სოციალურ და ზნეობრივ მანკიერებებზე. ამ მხრივ ყველაზე პირველმა თავი ისახელა მოლაყბემ, გაბედული ნაბიჯი გადასდგა, გასაგების ენით საზოგადოების ჭირ-ვარამზე დაიწყო ლაპარაკი. არჩ. ჯორჯაძის აზრით, იმ ხანაში ეს იყო ნამდვილი პუბლიცისტური შემოქმედება, რომელიც სწყვეტს კავშირს არა მარტო ენის გადაბირებულ



ფორმებთან, არამედ – თვით მოწიწების და რევერანსების ჩვეულებასთან, მოლაყბე საზოგადოებას არ ერიდება, იგი მხოლოდ მთავრობას ეპყრობა პატივისცემით. ამ მხრივ „მოლაყბე“ ვორონცოვის ეპოქის ნამდვილი შვილია.

არჩილ ჯორჯაძე უყურადღებოდ არც იმ გარემოებას ტოვებს, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან ეროვნულ-კულტურულ წამოწყებებს (თეატრი, ჟურნალი), სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი არ გამოუწვევიათ; აშკარა გახდა, რომ ნახევარსაუკუნოვანმა უჩვეულო ისტორიულმა სიტუაციამ ქართველ ხალხს აპათიურობის დადი დაასვა, ნელ-ნელა დაუცხრო ფართო საზოგადოებრივი ინტერესები, შეულახა მამულიშვილური დიდი გრძნობა. „მართლაც, – წერს არჩილ ჯორჯაძე, – საგულისხმო მდგომარეობაა. მთავრობა ხელს უწყობს ქართული ჟურნალის არსებობას, საზოგადოება კი გულგრილად ეპყრობა ამ გარემოებას“.

მაგრამ ეს გარემოება მაინც დროებითი მოვლენა იყო. თეატრიც და ჟურნალიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავისას ამზობდა და თავისას აკეთებდა; თანდათან მეტ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე და მისი გაუმართლებელი გულგრილობა ადგილს უთმობდა ჯანსაღ განწყობილებასა და დამოკიდებულებას. ამის საფუძველს ქმნიდა თუნდაც ის ფაქტი, რომ მოლაყბეს თუ სხვებს უკვე შესაძლებლობა ჰქონდათ მკაცრად ემსჯელათ ამგვარ აპათიაზე. ამასთან, ჟურნალის ფურცლებზე თანდათან მეტ ადგილს იჭერდა ქართულ მართლწერაზე, ქართული ენის გრამატიკის შედგენის საჭიროებასა და სხვა მსგავს საკითხებზე მსჯელობა. ჟურნალის ფურცლებზე გამოჩნდა კრიტიკული წერილები, დაიწყო პოლემიკა, რაც უაღრესად საყურადღებო მოვლენა იყო საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და განვითარებისათვის. ამის დადასტურებაა, რომ 60-იანი წლებიდან „ცისკარში“ წერილების გამოქვეყნება დაიწყო არაერთმა შემდგომში ცნობილმა მოღვაწემ, მათ შორის ნიკონიკოლაძემ, იმ პუბლიკაციებით იგი იცავდა დედა-ენას და იმჟამად ერთადერთ ქართულ ჟურნალს კონსერვატორთაგან.

ამ დროისათვის მ. ვორონცოვი უკვე წასული იყო, მაგრამ მისი პოლიტიკური კურსი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, თუმცა ძველებური ხელშეწყობა აღარ იგრძნობოდა.

მ. ვორონცოვი რომ განათლებული და წიგნიერი მოხელე გახლდათ, აშკარად ჩანდა მისი დამოკიდებულებით წიგნთან, იგი თურმე ეძებდა შედეგებს საკუთარი ბიბლიოთეკისათვის და მათ შორის ქართულ წიგნებსაც.

პროფ. გ. შარაძე წიგნში პლატონ იოსელიანი „რუსთველოლოგი“ წერს: „საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ოდესის სასახლეში მ.ს. ვორონცოვს მოწყობილი ჰქონდა ალუპკასთან შედარებით სიდიდით მეორე ბიბლიოთეკა. მ.ს. ვორონცოვის სიკვდილის (1856 წ.) შემდეგ მისმა ვაჟმა ს.მ. ვორონცოვმა 1870-იან წლებში ოდესური ბიბლიოთეკის ნაწილი პეტერბურგის სასახლეში გადაიტანა, ხოლო დარჩენილი ნაწილი, ანდერძის თანახმად, მისმა ქვრივმა 1898 წელს ოდესის უნივერსიტეტს გადასცა.

სწორედ ოდესის უნივერსიტეტში შემონახულ ვორონცოვისეული ბიბლიოთეკის წიგნებს შორის აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო ქართული წიგნები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქარ-

თული წიგნი განსაკუთრებულ ყდაშია ჩასმული და სახელწოდებაც ზედ ოქროტვიფრული ასოებით არის გამოყვანილი (ანტონ 1, ტ. გაბაშვილი, ი. გედევანიშვილი, არჩილი, იოსებ ტფილელი...). არაიშვიათად, თვითონ ტექსტებიც ძვირფას ქაღალდზეა ნაბეჭდი (დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატია“) და ზოგჯერ ლითოგრაფიაც მხატვრის მიერ საღებავებითაა გაცხივებული (მაგ. ანტონ I-ის პორტრეტი). ეტყობა, მ.ს. ვორონცოვისთვის მისართმევად საგანგებო ცალეხს ამზადებდნენ. ამდენად, ეს წიგნები უნიკუმებს წარმოადგენენ ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში. ხაზგასმით წერს გ. შარაძე და კითხვას სვამს, რომელსაც თვითონვე პასუხობს.

ვინ არის „კატალოგის“ შემდგენელი?

„კატალოგი“ დაწერილია გამართული რუსული ენითა და კალიგრაფიული ხელით. თუ გავიხსენებთ იმას, რომ „კატალოგის“ შემდგენელს ქართული ენაც უნდა სცოდნოდა და მ.ს. ვორონცოვთანაც მეტად დაახლოებული უნდა ყოფილიყო, მაშინ ასეთ პირად ჩვენ პლატონ იოსელიანი წარმოგვიდგება. თუ „კატალოგი“, მართლაც პლ. იოსელიანს ეკუთვნის, მაშინ იგი ორგანულად უნდა დაუკავშირდეს ქართული კატალოგიზაციის ისტორიასაც.

მ. ვორონცოვი გულისყურით ეკიდებოდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ ნებისმიერ საკითხზე მიმართვებს, ამის დადასტურებაა შემდეგი: 1849 წელს პ. იოსელიანის თხოვნა მ. ვორონცოვისადმი, ნება დაერთო და დახმარება აღმოეჩინა მისთვის, ათონის ქართულ მონასტერში მივილინების თაობაზე. მასალებიდან ირკვევა, რომ 1849 წლის 17 მარტს მეფისნაცვალს საქართველოს ეგზარქოსის, ისიდორეს წინადადებით, მას ნება დაერთო ათონზე 4 თვის ვადით გასამგზავრებლად (შარაძე, 1980, გვ. 63).

იმავე პ. იოსელიანს მ. ვორონცოვისთვის მიუმართავს შოთა რუსთაველის მინიატურული პორტრეტის შესახებ, რომელიც ერთ დროს განთავსებული იყო იმ „ფეფხისტყაოსანში“, რომელიც თეკლა ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ამის თაობაზე გ. შარაძის ნაშრომში ვკითხულობთ: პირველი ცნობა გრავ ე. შტაკელბერგისა ამ პორტრეტის შესახებ და XIX ს. ცნობილი რუსი მხატვრის გაგარინის მიერ გადმოღებული მისი ასლი გამოქვეყნდა 1847 წელს, პარიზში ((შარაძე, 1980, გვ. 113), ხოლო საქართველოში ყოფნის დროს გრ. გაგარინთან პლ. იოსელიანის ნაცნობობა და თანამშრომლობა საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტია.

ამის შემდეგ, 1952 წელს, ამავე პორტრეტსა და ხელნაწერზე პლ. იოსელიანი თავის ერთ გამოცემაში შენიშნავდა: „აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქუნდა ძველად ნაწერი ვეფხის-ტყაოსანი სახით ანუ პორტრეტიურთ რუსთაველისა ერისკაცისა სამოსით უფრო ყიზილბასთა წესით. ესე წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს მ.ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილის ფრანცუზის ფლერისა საფრანგეთის ქალაქსა პარიჟს, რათა გადაბეჭდონ იგი მრავალრიცხუედ ეგზემპლარებლად ხრომო-ლიტოლრაფით“.

უკანასკნელად 1870 წ. ამ ცნობის გამეორებისას, პლ. იოსელიანი დასძენდა „...Мудрый правитель {М С Воронцов}... велел скопировать

портрет народного гения, как гения науки – всемирного достояния, он передал портрет этот находившемуся в то время в Тифлисе ученому французу Флери для издания в Париже. Открывшаяся война помешала исполнению желания светлейшего князя. Имевшийся же у меня экземпляр того же портрета, в прошлом году доставил в Москву светлейшему князю Д Б Грузинскому, собирателю и просвещенному оберегателю редкостей и древностей отечества его и его царственных предков“.

როგორც არჩილ ჯორჯაძემ შენიშნავს, მალე მ. ვორონცოვის შემდეგ საქმე ისე წარიმართა, რომ „ცისკრისათვის“ ყური უნდა მიეპყრო გულგრილობით გამორჩეულ მაღალ წოდებასაც კი, ვინაიდან მის ფურცლებზე, თანდა-თანობით, ფეხი მოიკიდა ჩვენი სოციალური სინამდვილის კრიტიკამ, ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობის აუცილებლობაზე მსჯელობამ, ცალკეულ მებატონეთა დანაშაულის მხილება. ამ საკითხების განხილვამ კი ძალაუნებურად წინ წამოსწია უბრალო ხალხის მდგომარეობის ჩვენება. მით უმეტეს, რომ ამ დროს უკვე ოფიციალურად ცნობილი ხდება იმპერატორისა და მთავრობის აზრი ბატონყმობის გაუქმებს შესახებ.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, „საქმე ის არის, რომ, ამა თუ იმ სახით, საზოგადოებრივ ჟურნალში გაიხსენეს ხალხი, გაიხსენეს სიყვარულით და ეს ხალხი იმ დროს ბატონყმობის უღელში იყო შებმული“.

„ცისკარის“ პუბლიცისტიკა ჯერ კიდევ საკმაოდ გულუბრყვილო იყო, მაგრამ მისი ინტერესთა არეაშკარად ფართოვდებოდა, პირდაპირობაც უფრო საგრძნობი იყო, რის გამო `ცისკარი` უფრო საინტერესო და პოპულარული ხდებოდა. „მოლაყბის ლაყბობა, – წერს არჩ. ჯორჯაძე, – თანდათან, სატირად ხდება. ყველაფერს დასცინის გარდა ერთად-ერთ სათაყვანებელ საგნისა – უმაღლესი მთავრობისა... მისი, ასე ვსთქვათ, მონარქიული ხალხოსნობა გულუბრყვილოა, მაგრამ გულწრფელი. ხოლო, მისი დევნა საზოგადოებრივ ბოროტებისა, გაკიცხვა დიდ კაცთა უგვანობისა, მისი მხურვალე ეროვნული გრძნობა და მუდმივი ჩიჩინი იმის გამო – ყოველივე ეს სერიოზული მოტივებია `სალაყბო ფურცლის` პუბლიცისტიკისა“.

საქმე ის არის, რომ მოლაყბის თუ სხვათა პუბლიცისტურ გამოსვლებს ჟურნალის ფურცლებზე მალე დაემატა ისეთი საინტერესო პროზაული თხზულებებიც, რომლებშიც მკაცრად იყო დაგმობილი ბატონყმური სინამდვილე და ნაჩვენები იყო ის მიმართულება, საითაც მიდიოდა ჩვენი ცხოვრების სოციალური ყოფა. ასეთი იყო, მაგალითად, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ და ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი“. ბატონყმური ინსტიტუტის დაგმობასთან ერთად, ამ მხატვრულ ტილოებზე უკვე გამოჩნდნენ ახალი ფორმაციის პირველი წარმომადგენლებიც, რომლებიც, დღეს თუ ხვალ, ცხოვრების ბატონ-პატრონნი უნდა გამხდარიყვნენ. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ხომ ჯერ კიდევ გ. ერისთავმა და ზ. ანტონოვმა გადადგეს.

არჩილ ჯორჯაძემ, ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა და გაანალიზა ჟურნალ „ცისკრის“ დამსახურება, მისი ღვაწლი ჩვენი მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე, მაგრამ აჩვენა მისი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებაც.

„საზოგადოებრივი ჟურნალი, - ამბობს ის, - ან უნდა მოკვდეს, ან უნდა ჰქონდეს რაიმე კავშირი საზოგადოების მოთხოვნილებასთან. „ცისკარმა“ ვერ გაბედა და ვერ დაიჭირა ხელში პროგრესიული დროშა. იგი მეზრძოლი არ იყო“.

მართლაც, „ცისკარი“ არ ყოფილა მეზრძოლი პერიოდული ორგანო. თავდაპირველად ამას, ალბათ, თავისი ობიექტური გამართლებაც ჰქონდა, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ამ გზას იგი ბოლომდე ვერ გაჰყვებოდა: ცხოვრების გამართლება და რევოლუციური მოძრაობის ზრდა რუსეთის სინამდვილეში, ცხადია, თავის გავლენას ახდენდა ქართველ ახალგაზრდობაზეც, რომლის წარმომადგენლები ამ დროს რუსეთის უნივერსიტეტებში ღებულობდნენ უმაღლეს განათლებას. იმ ხანაში, - წერს არჩილ ჯორჯაძე, - პეტერბურგში უკვე არსებობდა ქართველ სტუდენტთა წრე. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და სხვანი წასულნი იყვნენ რუსეთში უმაღლესსწავლის მისაღებად. ჯერ კიდევ 1857 წლის „ცისკარში“ ვპოვებთ აკაკის და ილიას ლექსებს. მესამოციანებში ლექსების წერას მოუხშირეს. ეტყობოდა, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე ყურადღებით და მხურვალე გულით ადევნებდა თვალს ყოველივეს, რაც იწერებოდა ერთადერთ ქართულ ჟურნალში. აშკარაა, ბელინსკის, დობროლიუბოვის და ჩერნიშევსკის წერილებზე აღზრდილ ყმაწვილკაცობას ვერ დააკმაყოფილებდა უბადრუკი „ცისკარი“, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო სქოლასტიურ მიკიბ-მოკიბულ მსჯელობისაგან და ჩვენ მოწმენი ვხდებით ფრიად საინტერესო საზოგადოებრივ მოვლენისა. ჩვენ წინ ნელ-ნელა იშლება სურათი ძველის და ახალის შეტაკებისა „შვილების“ და „მამების“ ერთმანეთის გაუგებრობისა. საყურადღებოა, რომ პირველად ეს შეუთანხმებლობა აღმოჩნდა წმინდა ლიტერატურულ ნიადაგზე, ერთმანეთს ენის უვარგისობას უწუნებენ. მაგრამ თანდათან გამოირჩევა ღრმა და გაუვალი უფსკრული ორ მსოფლმხედველობათა შორის. ძველ საქართველოს წინაშე ჩნდება ახალი ძალა, რომელსაც შეაქვს არა თუ ახალი ენა, ახალი აზრიც, ახალი გრძნობა და ახალი იდეალები“.

ამგვარად, თავისი პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, მაგრამ სრულიად ობიექტური და ისტორიულად მნიშვნელოვანი ყოველი მოვლენის ღრმა ანალიზის შედეგად, არჩილ ჯორჯაძემ წარმოაჩინა 30-იანი და 40-50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი და არსებითი ნიშან-თვისებები, მოგვცა მათი განმაპირობებელი ფაქტორების სურათი. მის მიერ გამოთქმული შეხედულებები 40-50-იანი წლების ქართული თეატრის, ქართული მწერლობისა და ქართული ჟურნალისტიკის ხასიათსა და ბუნებაზე დღეისათვის თითქმის მთლიანადაა გაზიარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

მის ამგვარ ისტორიულ ექსკურსებს ჰქონდათ პოლიტიკური მიზან-დასახულობა; მას სურდა, თავისი პოლიტიკური კრედო წარმოედგინა მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების პო-ლიტიკურ შეხედულებათა ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების სახით.

არჩ. ჯორჯაძეს ეკუთვნის დასკვნა მ. ვორონცოვის რეალური პორტრეტის წარმოჩენაში. მის შეხედულებებს ძირითადად ეთანხმებიან თანამედროვე მკვლევარნი.

არჩ. ჯორჯაძე XIX საუკუნის მომდევნო პერიოდსაც განიხილავს სხვადასხვა პუბლიკაციაში.

არჩილ ჯორჯაძე დიდი გულისხმიერებით ცდილობდა, ქართული პოლიტიკური აზროვნების ევოლუცია ეჩვენებინა და მისთვის სათანადო შეფასება მიეცა. ამ მიზნით, როგორც ვნახეთ, მან მეტად საგულისხმოდ გაგვაცნო მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სინამდვილე, რაც ერთგვარი შესავალი იყო უფრო საინტერესო ისტორიული ეპოქის, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოლიტიკური აზროვნების წარმოსაჩენად.

### დასკვნა

არჩ. ჯორჯაძეს მიაჩნია, რომ ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ყველას, ვისაც კი მისი პოლიტიკური დამონება სურდა - რა გზითაც არ უნდა ყოფილიყო ეს, მათ შორის იგულისხმება მ. ვორონცოვიც. ჩვენი ხალხი თავის თავს, თავის მიწას, ენას და სარწმუნოებას იცავდა. ამ ყველაფრის დაცვა მას თავისუფლების დაცვად მიაჩნდა და თავის გარშემო მტერს იგი უყურებდა, როგორც მისი სიცოცხლის და თავისუფლების დამამხოველს. ასე, რომ, ძველ დროში, ეროვნული პრობლემა ქართველი ხალხის „სიცოცხლის და თავისუფლების“ საკითხი იყო. „სიცოცხლე და თავისუფლება“ ხომ ხალხს თავისებურად ესმოდა. სიცოცხლე – გამრავლების და ბედნიერების უფლება; თავისუფლება კი - ამ უფლების ხელუხლებლობა, შეურყევლობა.

ქართველი ხალხი ახალგაზრდა ხალხი კი არ არის, წერს არჩ. ჯორჯაძე, არამედ უძველესი; ქართველ ხალხის ისტორიაში, როგორც ბევრ სხვა ხალხის ცხოვრებაშიც, განვითარებას და დაწინაურებას დაქვეითება და დაცემა მოსდევდა ხოლმე, ხოლო შემდეგ იყო აღორძინება. მისი აზრით, საჭიროა, ქართველმა საზოგადოებამ შეიგნოს, რომ მას აქვს ის სულიერი ძალ-ღონე, რაც მას ბრძოლაში გამოსადეგ საზოგადოებად აქცევს. აგრეთვე, შეიგნებს რა ამ თავის ძალ-ღონეს, საჭიროა, ერიდოს და უფრთხოდეს ყოველ იმ საშუალებას, რომლის გამოყენებითაც მას შეუმცირდება თვით-მოქმედების უნარი და ეხმაურება დღევანდელობას.

არჩ. ჯორჯაძე კარგად ხედავდა, რომ მ. ვორონცოვი თავისი საქმიანობით იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამით ქართული საქმეც კეთდებოდა, რაც, ალბათ, სულაც არ მოსწონდა და ახარებდა რუსულ მმართველობას. „ნუ იქნება ოლონდ ბუნტი“ – იმ ეტაპზე ეს იყო საფიქრალი, არჩ. ჯორჯაძისათვის კი ერის გადარჩენა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა ეტაპის გავლა იყო მთავარი. ამ გზაზე კი ავტონომია პირველ საფეხურად მიაჩნდა. ბევრს ჰგონია, რომ ილია ჭავჭავაძე, არჩ. ჯორჯაძე, და ნიკო ნიკოლაძე აქ ჩერდებოდნენ, არა! მათთვის ავტონომიის მოპოვების შემდეგ უნდა დაწყებულიყო მეორე და გადამწყვეტი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და მათი არჩევანი იმ გადასახედიდან სწორი იყო.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gorjadze, a. (1911). *tkhzulebani*. tsigni I. tbilisi. (ჯორჯაძე, ა. (1911). *თხზულებანი*. წიგნი I. თბილისი).

gorjadze, a. (1911). *tkhzulebani*. tsigni II. tbilisi. (ჯორჯაძე, ა. (1911). *თხზულებანი*. წიგნი II. თბილისი). თბილისი.)

gorjadze, a. (1911). *tkhzulebani*. tsigni IV. tbilisi. (ჯორჯაძე, ა. (1911). *თხზულებანი*. წიგნი IV. თბილისი).

gorjadze, a. (1911). *tkhzulebani*. tsigni V. tbilisi. (ჯორჯაძე, ა. (1911). *თხზულებანი*. წიგნი V. თბილისი.)

gamezardashvili, d. (1974). *kartuli literaturisa da kritikis istoriidan*. t. I. (გამეზარდაშვილი, დ. (1974). *ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან*. ტ. I. თბილისი.)

lobzhanidze, g. (1992). *narkvevebi arch. gorjadzis msoplmedvelobrivi samartlebrivi naazrevidan*. kutaisi: gamomtsemloba "sarangi". (ლობჯანიძე, გ. (1992). *ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ სამართლებრივი ნააზრევიდან*. ქუთაისი: გამომცემლობა „სარანგი“.)

gabunia, g. koghuashvili p. (2000). *chemi azrebi da piqrebi*. (გაბუნია გ., კოღუაშვილი, პ. (2000). *ჩემი აზრები და ფიქრები*. თბილისი.)

lobzhanidze, g. (2021). *didi niko nikoladze*. tbilisi. (ლობჯანიძე გ. (2021). *დიდი ნიკო ნიკოლაძე*. ქუთაისი.)

lobzhanidze, g. (2023). *tsitseronidan chvenamde*. tbilisi. (ლობჯანიძე, გ. (2023). *ციცერონიდან ჩვენამდე*. თბილისი.)

sharadze, g. (1980). *platon ioseliani rustvelologi*. tbilisi. (შარაძე გ. (1980). *პლატონ იოსელიანი რუსთველოლოგი*. თბილისი.)

nikoladze, n. (1985). *tkhzulebani*. t. VII. tbilisi. (ნიკოლაძე, ნ. (1985). *თხზულებანი*. ტ. VII. თბილისი.)

gaprindashvili, m. (1988). *kartuli sazogadoebrivi azrovnebis istoriis narkvevebi*. III. tbilisi. (გაფრინდაშვილი, მ. (1988). *ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები*. III. თბილისი.)